

**საქართველოს კანონი**

**„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**

**მუხლი 1.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 344<sup>2</sup> მუხლი:

**„მუხლი 344<sup>2</sup>. საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში უკანონო მიგრაციისთვის შესაბამისი პირობების შექმნა**

1. საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანისთვის ან/და მისთვის უცხო ქვეყანაში ყოფნისთვის შესაბამისი პირობების შექმნა (ხელის შეწყობა) კანონმდებლობის დადგენილი წესების დარღვევით –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.
2. საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მიღების უფლების ბოროტად გამოყენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა (ხელის შეწყობა) -  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:
  - ა) არაერთგზის;
  - ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
  - გ) ყალბი საბუთების გამოყენებით, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.
4. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

**შენიშვნა:** ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.